აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 18

2 ნოემბერი 2023 წელი

საკანონმდებლო პაკეტი (09-01-08/55 26.10.2023 წელი):

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ"

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტი - „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ.

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: ვლადიმერ მგალობლიშვილი დავით გაბაიძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

26.10.2023 წელი	წამყვანი კომიტეტი: 22.11.2023წ. სხვა კომიტეტები: 16.11.2023წ.	საშემოდგომო სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 84-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 112-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 115-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს - „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს - „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ".

გთხოვთ, საკანონმდებლო ინიციატივას მისცეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -25- ფურცელი

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი

08-01-01/55
26-10-2021
26 ფურცელი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონი

ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ

ამ კანონით განისაზღვრება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების (შემდგომ - ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზები) სტატუსი და მათ მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

ეს კანონი ადგენს ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებით მოსარგებლეთა, აგრეთვე საგზაო-საინჟინრო ნაგებობების მფლობელ ორგანიზაციათა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებით სარგებლობისა და დაცვის წესებს, აწესებს მოთხოვნებს ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოწყობილობისადმი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე.

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონმდებლობა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ

კანონმდებლობა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ შედგება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის, ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 2. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების ცნება

1. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზა არის საინჟინრო ნაგებობა, რომლის დანიშნულებაა უზრუნველყოს ავტოტრანსპორტისა და სხვა თვითმავალი საშუალებების უსაფრთხო და მოხერხებული მოძრაობა დადგენილი ნორმატიული სიჩქარეებით, ღერძული დატვირთვებით და გაბარიტებით.

2. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზის ცნებაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილები, გაერთიანებულია:

ა) მიწის ვაკისი სავალი ნაწილი, ხიდები, გვირაბები, ესტაკადები, სატრანსპორტო კვანძები, წყალგამტარი ნაგებობები, საყრდენი კედლები, გზის გასწვრივ მდებარე

საველოსიპედო და საცალფეხო ბილიკები, ასევე განსხვისების ზოლები და მის ფარგლებში არსებული სხვა საგზაო ნაგებობანი;

ბ) მოძრაობის მართვისა და რეგულირების, ტექნოლოგიური კავშირის, განათების მოწყობილობათა ელემენტები და სხვა ნაგებობანი, მათ შორის სპეციალური დანიშნულების სატელეფონო კავშირები, რომლებიც საჭიროა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნორმალური მოვლა-შენახვისა და ფუნქციონირებისათვის;

გ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების ზედა საჰაერო სივრცე სატრანსპორტო საშუალებებისათვის დადგენილი გაბარიტების ფარგლებში;

დ) თოვლდამცავი და ხმაურდამხშობი მოწყობილობანი, სატყეო თოვლდამცავი ზოლები, ზვავსაწინააღმდეგო, ღვარცოფსაწინააღმდეგო და წყალამრიდი ნაგებობანი, გასაჩერებელი და დასასვენებელი მოედნები და ავარიის საწინააღმდეგო ჯიბეები, რომლებიც შეიძლება განლაგებული იყოს განსხვისების ზოლის გარეთ;

ე) საგზაო-საექსპლუატაციო სამსახურის შენობა-ნაგებობანი.

3. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებს მიეკუთვნება „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების საზღვრებში არსებული გზებისა).

4. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. როგორც წესი, იგი 3 წელიწადში ერთხელ გადაისინჯება.

მუხლი 3. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუმერაციის, დასახელებისა და სიგრძის განსაზღვრის წესი

1. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების დასახელებაში უნდა შედიოდეს სახელწოდება საწყისი და ბოლო დასახლებული პუნქტებისა, რომლებსაც აკავშირებს გზა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში - ძირითადი შუალედური დასახლებული პუნქტების სახელწოდებაც. დაიშვება გზების დასახელება ბოლო დასახლებული პუნქტის სახელწოდების მიხედვით, გეოგრაფიული ან სხვა ობიექტების ისტორიული მნიშვნელობისა და ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით.

2. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების კილომეტრაჟის გამოანგარიშებისათვის საწყის და ბოლო წერტილებად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრიდან - ბათუმიდან და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრებიდან გამავალი საავტომობილო გზებისთვის მიიღება მათი საზღვრები.

მუხლი 4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენცია ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგზაო მეურნეობის რეგულირებაში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების საგზაო მეურნეობის ხელმძღვანელობა და მისი მართვის წესის დადგენა;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში გამავალი ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაცვისა და აღრიცხვის ორგანიზება;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარებისა და გაუმჯობესების საკითხების გადაწყვეტა.

თავი II
ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და განვითარების სტრატეგია

მუხლი 5. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და განვითარების სტრატეგია

1. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებს მართავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომ - საავტომობილო გზების დეპარტამენტი), რომელიც ახორციელებს გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, შეკეთების და მოვლა-შენახვის სამუშაოებს.

2. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების სტრატეგიას შეიმუშავებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელსაც ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

მუხლი 6. საავტომობილო გზების დეპარტამენტის მმართველობის სფერო და ამოცანები

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების მიზნით შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და დადგენილი წესით დამტკიცების შემდეგ მისი რეალიზაცია;

გ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების გრძელვადიანი პროგრამების, პერსპექტიული და პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავება და დადგენილი წესით დამტკიცების შემდეგ მათი რეალიზაცია;

დ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების სფეროში შესაბამისი სახსრების, მათ შორის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

ე) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების, გარემოსა და სახელმწიფო ინტერესების დაცვა;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა პროგრამების, სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების შემუშავებაში მონაწილეობა;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამების/ქვეპროგრამების შემუშავება, მართვა და მათი განხორციელების კონტროლი;

თ) საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური მოვლენების მოსალოდნელი შედეგების ანალიზი, შეფასება და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავება, მათი სალიკვიდაციო

სამუშაოების კოორდინაცია. ექსტრემალურ პირობებში ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

ი) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების სფეროში კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო საქმიანობის ორგანიზება, მიმდებარე ზოლში ინფრასტრუქტურის განვითარების რეგულირება და სხვადასხვა ობიექტების მშენებლობისა და განვითარების საქმიანობათა დადგენილი წესით შეთანხმება, აგრეთვე თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემავალი იმ სამუშაოების პროექტირება, რომლებიც არ საჭიროებენ საპროექტო კვლევა-ძიებას;

კ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების სფეროში საექსპერტიზო საქმიანობის (გარდა სახელმწიფო ექსპერტიზისა) ორგანიზაცია;

ლ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების სფეროში სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით, კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება ან მათ მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

მ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების განხორციელება.

მუხლი 7. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ქონების შემადგენლობა

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ქონებაა მის მფლობელობაში გადაცემული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, საფინანსო რესურსები, სხვა აქტივები, რომლებიც აისახება მის ბალანსში.

თავი III
ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგზაო დარგის დაფინანსება

მუხლი 8. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვისა და განვითარების დაფინანსება

ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაპროექტების, მშენებლობის, მოდერნიზაციის, რეაბილიტაციის, მოვლა-შენახვის და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება ხდება, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე, ისე სხვა წყაროებით.

მუხლი 9. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის ფასიანი საავტომობილო გზები

1. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებით ან გზების მონაკვეთებით სარგებლობის საფასურის დაწესება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ორ დასახლებას შორის არსებობს პარალელური უფასო გზა.

2. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებით ან გზების მონაკვეთებით სარგებლობის საფასური განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით და გამოიყენება ამავე გზების ან გზების მონაკვეთების მოვლა-შენახვისა და განვითარებისათვის.

თავი IV
ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებით სარგებლობა

მუხლი 10. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებით სარგებლობის წესი

1. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზები გამოიყენება კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა იმოძრაონ გზის სავალ ნაწილზე.

3. აკრძალულია მუხლუხა ან ლითონისბორბლებიანი მანქანების მოძრაობა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების შავსაფარიან სავალ ნაწილზე და გვერდულებზე.

4. სატრანსპორტო საშუალებების გასატარებლად, რომელთა ღერძული დატვირთვა და გაბარიტები აღემატება ნორმატიულს, სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები (უცხოელების ჩათვლით) დადგენილი წესით იღებენ ნებართვას და თუ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები დააზიანებენ გზის ელემენტებს, დადგენილი წესით იხდიან აღდგენის საფასურს.

მუხლი 11. შეზღუდვები და აკრძალვები ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის

1. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე აკრძალულია:

ა) იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების/სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, რომლის საგაბარიტო პარამეტრები ან/და თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა ან/და რომლის ფაქტობრივი მასა ან/და მათი თანამდევი პარამეტრები აღემატება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით დადგენილ ზღვრულ მნიშვნელობებს ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება ქარხანა-დამამზადებლის მიერ მოცემული სატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილ სრულ მასას. ამ ქვეპუნქტის მოქმედება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ფაქტობრივი მასა ქარხანა-დამამზადებლის მიერ დადგენილ სრულ მასას აღემატება) არ ვრცელდება:

ა.ა) იმ არაგაბარიტულ (მსხვილგაბარიტიან) ან ზენორმატიულ (მძიმეწონიან) მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც მოძრაობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილ ორგანოსთან (უწყებასთან) შეთანხმებით, ამ შეთანხმების პირობების შესაბამისად;

ა.ბ) საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას საზღვაო ნავსადგურში განთავსებული საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით გადაადგილებულ იმ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც შემდგომ გადაადგილდება საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიიდან უახლოესი, 10 კმ-ის რადიუსში მდებარე, საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის ზონისკენ საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით;

ა.გ) იმ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას გადაადგილდება საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, საბაჟო ორგანოს განთავსების ადგილიდან უახლოესი, 25 კმ-ის რადიუსში მდებარე რკინიგზის სადგურისკენ,

საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის ზონისკენ საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით;

ბ) გზების, საგზაო ნაგებობათა და განსხვისების ზოლის, აგრეთვე ხიდებისა და მილების ნახვრეტების, არხებისა და სადრენაჟო მოწყობილობათა გაჭუჭყიანება ან ჩახერგვა;

გ) შეუფუთავად გადაზიდვა ისეთი ტვირთისა, რომელიც აჭუჭყიანებს გზას ან განსხვისების ზოლს;

დ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების (მარცვლეულის, თივის და სხვა) გზაზე გამოტანა და დაყრა, აგრეთვე მასალების საწყობების მოწყობა, ნაგვის და თოვლის დაყრა;

ე) ნავთობპროდუქტებისა და ქიმიურ ნივთიერებათა დაქცევის შესაძლებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება, აგრეთვე გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა დატვირთვა-გადმოტვირთვა;

ვ) პირუტყვის გადარეკა საგზაო ორგანოებთან შეთანხმებული ადგილების გარდა, აგრეთვე მისი უმეთვალყურეოდ ძოვება განსხვისების ზოლში;

ზ) გზების ბლოკირება, საკონტროლო და შესამოწმებელი პუნქტების მოწყობა, დემონსტრაციების, სპორტული შეჯიბრებების, სხვა მასობრივ ღონისძიებათა მოწყობა, რომლებიც ცვლის მოძრაობის დადგენილ რეჟიმს, ასევე გზაზე ავტოტრანსპორტის შესვლა და გამოსვლა საამისოდ დაუდგენელ ადგილებში მუნიციპალიტეტების ორგანოების, საგზაო სამსახურებისა და საპატრულო პოლიციის ნებართვის გარეშე;

თ) რეკლამების დაყენება საგზაო ორგანოების ნებართვის გარეშე;

ი) გზის ვაკისზე ვაჭრობა;

კ) საგზაო ნაგებობების, საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების, მწვანე ნარგავების, თოვლდამცავი მოწყობილობის და სხვა საგზაო ქონების დაზიანება;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით აღნიშნული შეზღუდვებისა და აკრძალვების უგულებელყოფა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. მოძრაობის დროებით შეწყვეტა ან შეზღუდვა

1. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მოძრაობა დროებით შეიძლება შეწყდეს ან შეიზღუდოს მხოლოდ ავარიის ან სტიქიური მოვლენების შემთხვევაში, საგზაო-კლიმატური პირობების გამო ან სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას.

2. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მოძრაობის შეწყვეტის ან შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილებას, ვადის მითითებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ღებულობს საავტომობილო გზების დეპარტამენტი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებით.

3. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მოძრაობის დროებით შეწყვეტის ან შეზღუდვის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ვალდებულია დროულად გამოაცხადოს ეს პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, რომელშიც უნდა მიეთითოს ასაქცევი გზები, აგრეთვე გზის ასეთი მონაკვეთების დასაწყისში უნდა დაიდგას შესაბამისი საგზაო ნიშნები და მიღებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზომები. თუ შესაბამისი გადაწყვეტილების

მიმღები ორგანოები არ შეასრულებენ ამ მოთხოვნებს, საავტომობილო გზებით მოსარგებლეებს უფლება აქვთ მოითხოვონ მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

4. თუ შესაბამისი ინფორმაცია გამოქვეყნებულია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, აგრეთვე მიღებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზომები, საავტომობილო გზებით მოსარგებლეებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ მოძრაობის დროებით შეწყვეტით ან შეზღუდვით გამოწვეული ზარალის კომპენსაცია.

მუხლი 13. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების კონტროლი

შეუფერხებელი და უსაფრთხო მოძრაობის მოთხოვნებთან ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების მდგომარეობის შესაბამისობას აკონტროლებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებთან და კანონმდებლობით უფლებამოსილ სხვა სახელმწიფო ორგანოებთან კოორდინაციით.

მუხლი 14. საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობა

1. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მდგომარეობის გამო მოძრაობის დროებით შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საავტომობილო გზების დეპარტამენტს, გარდა დადგენილი წესით მოძრაობის შეწყვეტის ან შეზღუდვის შემთხვევებისა.

2. საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია აუნაზღაუროს საავტომობილო გზებით მოსარგებლეებს ცუდი საგზაო პირობების შედეგად მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით გამოწვეული ზარალი თუ ამ შემთხვევის მიზეზი ის იყო, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეასრულა დაკისრებული მოვალეობანი. მიყენებული ზარალის ანაზღაურება ხდება სასამართლო წესით.

მუხლი 15. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის გზებით მოსარგებლეების პასუხისმგებლობა

1. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებით მოსარგებლენი მგზავრობა-ტვირთზიდვის დროს ვალდებულნი არიან დაიცვან „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის, ამ კანონისა და საგზაო მოძრაობის წესები.

2. საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს, რომელთა მიზეზით დაზიანდა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის გზის საფარი, გვერდულები, მიწის ვაკისი, დამცავი მოწყობილობა, ხიდები, გზაგამტარები, წყალამრიდი და სხვა ნაგებობანი, ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვალდებულნი არიან აანაზღაურონ მიყენებული ზარალი.

3. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოდერნიზაციისას კომუნიკაციების გადატანა ხორციელდება იმ ორგანიზაციის ძალებით, რომლის ბალანსზეც იმყოფება კომუნიკაციები, საქვეუწყებო დაწესებულებასთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

4. თუ კომუნიკაციები მოწყობილია არსებული ნორმების დარღვევით, მათი გადატანა ხდება მესაკუთრის ძალებითა და ხარჯებით.

მუხლი 16. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონებში შეუთანხმებელი მოქმედების აკრძალვა

1. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონებში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან შეუთანხმებლად აკრძალულია:

ა) ნებისმიერი სამშენებლო, სამელიორაციო, სასოფლო-სამეურნეო, გეოლოგიური ძიების სამუშაოები, კავშირგაბმულობის ხაზებისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, ახლის აშენება და არსებული ნაგებობების შეკეთება (მილსადენების, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების ავარიის შემთხვევაში აღდგენა-შეკეთების სამუშაოების გარდა, რასაც დაუყოვნებლივ ატყობინებენ საავტომობილო გზების დეპარტამენტს);

ბ) ტექნოლოგიური ტვირთების ორგანიზაცია;

გ) გარე განათებისა და გამწვანების მოწყობა;

დ) მოძრავი გასამართი პუნქტების, ჯიხურების, პავილიონების და სხვა ნაგებობების განლაგება;

ე) სატრანსპორტო საშუალებათა დატვირთვა-გადმოტვირთვის, გასაჩერებელი და სამრეცხაო მოედნის მოწყობა;

ვ) კაშხლების, გუბურების და სხვა მელიორაციულ და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მოწყობა, მდინარეების კალაპოტების გაღრმავება და ქვიშისა და ღორღის მოპოვება ერთი კილომეტრის მანძილზე ხიდების ზემოთ და ქვემოთ;

ზ) მდინარეზე ხიდების ქვეშ ხე-ტყის დაცურება;

თ) ხიდების ბურჯებთან ნავების ან სხვა სანაოსნო საშუალებათა მიდგომა, გზაგამტარების, ესტაკადებისა და ხიდების ქვეშ სადგომის, გასასვლელების, აგრეთვე ნავების სადგურებისა და სხვა რაიმე ნაგებობათა მოწყობა.

2. ყველა იმ სამუშაოთა წარმოება, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზის ამა თუ იმ მონაკვეთზე ცვლის საგზაო მოძრაობის არსებულ ორგანიზაციას ან ავტომანქანების სიჩქარეების დადგენილ რეჟიმს, გარდა საგზაო ორგანიზაციებისა, უნდა შეუთანხმდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და კანონმდებლობით უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს (ორგანოებს).

3. ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების მიერ აშენებული შენობა-ნაგებობანი უნდა დაინგრეს თვითნებურად ამშენებელთა ხარჯზე.

მუხლი 17. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა

1. საავტომობილო გზების დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციასთან ერთად ყოველ ღონეს ხმარობს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მომხდენი ან გაუმართავი სატრანსპორტო საშუალების გასატანად ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზის სავალი ნაწილიდან, რისთვისაც გამოიყენება შემხვედრი ტრანსპორტი და ამწე სატრანსპორტო საშუალებები.

2. საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებით ყველაფერი იღონოს ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზის სავალი ნაწილიდან გაუმართავი სატრანსპორტო საშუალების ან ტვირთის გასატანად, ტექნიკური დახმარების გასაწევად ან გამაფრთხილებელი ნიშნების დასადგმელად.

მუხლი 18. სამედიცინო დახმარება ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე

ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაშავებულებს სამედიცინო დახმარებას უწევენ ამ გზებთან ყველაზე ახლოს განლაგებული სამედიცინო დაწესებულებები.

მუხლი 19. ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარებასთან და გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წარმოება

ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაპროექტება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია, შეკეთება, მოვლა-შენახვა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება, საექსპლუატაციოდ მიღება წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, მიღებული სტანდარტების, სამშენებლო ნორმების, ტექნიკური რეგლამენტებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

მუხლი 20. შავი წერტილების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა

1. შავი წერტილი არის ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზის არაუმეტეს 300-მეტრიანი მონაკვეთი, რომლის ფარგლებში 3 კალენდარული წლის განმავლობაში დაფიქსირებულია ერთ-ერთი შემდეგი შემთხვევა:

ა) ადამიანის დაღუპვით დასრულებული არანაკლებ 4 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;

ბ) ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით ან/და ადამიანის დაღუპვით დასრულებული ჯამში არანაკლებ 10 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შავი წერტილების იდენტიფიცირებას ახდენს და მათ შესახებ ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტს აწვდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

3. საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიხედვით შავი წერტილების აღმოფხვრისა და ამ გზებზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განსახორციელებლად შეიმუშავებს შესაბამის წესს, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

4. საავტომობილო გზების დეპარტამენტი, „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის 26[1] მუხლით გათვალისწინებულ ორგანოებთან ერთად კოორდინირებულად უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით წინადადებების/ანგარიშების მომზადებას.

თავი V
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 21. კანონის ამოქმედებამდე არსებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოქმედება

ამ კანონის ამოქმედებამდე, „ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2005 წლის 11 აგვისტოს კანონის (გაზეთი „აჭარა“, №154, 17.08.2015) საფუძველზე მიღებული/გამოცემული და მოქმედი სამართლებრივი აქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას კანონმდებლობით დადგენილი წესით მათ ძალადაკარგულად გამოცხადებამდე.

მუხლი 22. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს:

ა) საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების სტრატეგიის დამტკიცება;

ბ) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა;

გ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცება.

მუხლი 23. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2005 წლის 11 აგვისტოს კანონი (გაზეთი “აჭარა“ №154, 17.08.2005).

მუხლი 24. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-20 მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-20 მუხლი ამოქმედდეს, „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 01.07.2020, სარეგისტრაციო კოდი: 310090000.05.001.019912) საქართველოს 2020 წლის 23 ივნისის №6364-IIს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების ამოქმედების შემდეგ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე — თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
2023 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 13 ოქტომბერს მიღებული იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, რომელმაც ახლებურად მოაწესრიგა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსი. ამასთან აღნიშნული კანონით ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2004 წლის 1 ივლისის კონსტიტუციური კანონი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის საფუძველზე ცვლილება განიცადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციამაც. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის 21 მარტის კონსტიტუციური კანონით მიღებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქცია. აღნიშნული კონსტიტუციური კანონი დამტკიცდა საქართველოს 2018 წლის 4 მაისის ორგანული კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების თაობაზე“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციით ახლებურად მოწესრიგდა სხვადასხვა საკითხები, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები. ახალი საკანონმდებლო რეალობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიკუთვნებული ერთ-ერთი ახალი სფეროა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზები და მათი მართვა.

საავტომობილო გზების სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონი ჯერ კიდევ 2005 წელს იქნა მიღებული, რომელიც თავისი სტრუქტურით და შინაარსით შეუსაბამობაშია ახალ საკანონმდებლო რეალობასთან. ამასთანავე არ არსებობს ზემოაღნიშნული კანონის კოდიფიცირებული ოფიციალური ვერსია, რაც კანონის გამოყენების სფეროში პრობლემურია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნისთვის შემუშავდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანია:

კანონპროექტის მიზანია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის

შესაბამისად, ახალი საკანონმდებლო აქტით დარეგულირდეს ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის საკითხები, რათა საკანონმდებლო დონეზე იქნეს მოწესრიგებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული ზემოაღნიშნული საკითხი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება პრეამბულის, V თავისა და 24 მუხლისაგან.

პრეამბულის თანახმად, კანონით განისაზღვრება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების სტატუსი და მათ მართვასთან დაკავშირებული საკითხები. კანონი ადგენს ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებით მოსარგებლეთა, აგრეთვე საგზაო-საინჟინრო ნაგებობების მფლობელ ორგანიზაციათა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებით სარგებლობისა და დაცვის წესებს, აწესებს მოთხოვნებს ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოწყობილობისადმი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. კანონის მოქმედება ვრცელდება ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე.

კანონპროექტის პირველი მუხლის თანახმად, კანონმდებლობა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ შედგება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის, ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

კანონპროექტის მე-2 მუხლში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეფინიცია, რომლის თანახმადაც „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზა არის საინჟინრო ნაგებობა, რომლის დანიშნულებაა უზრუნველყოს ავტოტრანსპორტისა და სხვა თვითმავალი საშუალებების უსაფრთხო და მოხერხებული მოძრაობა დადგენილი ნორმატიული სიჩქარეებით, ღერძული დატვირთვებით და გაბარიტებით". ამავე მუხლის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას, ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. როგორც წესი, იგი 3 წელიწადში ერთხელ გადაისინჯება.

კანონპროექტის მე-3 მუხლში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუმერაციის, დასახელებისა და სიგრძის განსაზღვრის წესი. პროექტით ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების დასახელებაში უნდა შედიოდეს სახელწოდება საწყისი და ბოლო დასახლებული პუნქტებისა, რომლებსაც აკავშირებს გზა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში - ძირითადი შუალედური დასახლებული პუნქტების სახელწოდებაც. დაიშვება გზების დასახელება ბოლო დასახლებული პუნქტის სახელწოდების მიხედვით, გეოგრაფიული ან სხვა ობიექტების ისტორიული მნიშვნელობისა და ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით. ამავე მუხლით ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების კილომეტ-რაჟის გამოანგარიშებისათვის საწყის და ბოლო წერტილებად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრიდან - ბათუმიდან და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრებიდან გამავალი საავტომობილო გზებისთვის მიიღება მათი საზღვრები.

კანონპროექტის მე-4 მუხლი ეთმობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგზაო მეურნეობის რეგულირებაში.

კანონპროექტის მე-5 მუხლის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებს მართავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, შეკეთების და მოვლა-შენახვის სამუშაოებს. ამავე მუხლის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების სტრატეგიას შეიმუშავებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელსაც დაამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

კანონპროექტის მე-6 მუხლში მოცემულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის მმართველობის სფერო და ამოცანები.

კანონპროექტის მე-7 მუხლი დათმობილი აქვს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის თანახმადაც, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ქონებაა მის მფლობელობაში გადაცემული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, საფინანსო რესურსები, სხვა აქტივები, რომლებიც აისახება მის ბალანსში.

კანონპროექტის მე-8 მუხლი დათმობილი აქვს ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვისა და განვითარების დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, პროექტის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაპროექტების, მშენებლობის, მოდერნიზაციის, რეაბილიტაციის, მოვლა-შენახვის და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება ხდება, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე, ისე სხვა წყაროებით.

კანონპროექტის მე-9 მუხლის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებით ან გზების მონაკვეთებით სარგებლობის საფასურის დაწესება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ორ დასახლებას შორის არსებობს პარალელური უფასო გზა. ამასთან, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებით ან გზების მონაკვეთებით სარგებლობის საფასური განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით და გამოიყენება ამავე გზების ან გზების მონაკვეთების მოვლა-შენახვისა და განვითარებისათვის.

კანონპროექტის მე-10 მუხლის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზები გამოიყენება კანონმდებლობის შესაბამისად. აკრძალულია მუხლუხა ან ლითონისბორბლებიანი მანქანების მოძრაობა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების შავსაფარიან სავალ ნაწილზე და გვერდულებზე. სატრანსპორტო საშუალებების გასატარებლად, რომელთა ღერძული დატვირთვა და გაბარიტები აღემატება ნორმატიულს, სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები (უცხოელების ჩათვლით) დადგენილი წესით იღებენ ნებართვას და თუ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები დააზიანებენ გზის ელემენტებს, დადგენილი წესით იხდიან აღდგენის საფასურს.

კანონპროექტის მე-11 მუხლში მოცემულია შეზღუდვები და აკრძალვები ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის.

კანონპროექტის მე-12 მუხლის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მოძრაობა დროებით შეიძლება შეწყდეს ან შეიზღუდოს მხოლოდ

ავარიის ან სტიქიური მოვლენების შემთხვევაში, საგზაო-კლიმატური პირობების გამო ან სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას, ხოლო მოძრაობის შეწყვეტის ან შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილებას, ვადის მითითებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ღებულობს საავტომობილო გზების დეპარტამენტი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებით. ამავე მუხლით განსაზღვრულია, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მოძრაობის დროებით შეწყვეტის ან შეზღუდვის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ვალდებულია დროულად გამოაცხადოს ეს პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, რომელშიც უნდა მიეთითოს ასაქცევი გზები, აგრეთვე გზის ასეთი მონაკვეთების დასაწყისში უნდა დაიდგას შესაბამისი საგზაო ნიშნები და მიღებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზომები. თუ შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები არ შეასრულებენ ამ მოთხოვნებს, საავტომობილო გზებით მოსარგებლეებს უფლება აქვთ მოითხოვონ მიყენებული ზარალის ანაზღაურება. იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი ინფორმაცია გამოქვეყნებულია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, აგრეთვე მიღებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზომები, საავტომობილო გზებით მოსარგებლეებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ მოძრაობის დროებით შეწყვეტით ან შეზღუდვით გამოწვეული ზარალის კომპენსაცია.

კანონპროექტის მე-13 მუხლით, შეუფერხებელი და უსაფრთხო მოძრაობის მოთხოვნებთან ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების მდგომარეობის შესაბამისობას აკონტროლებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებთან და კანონმდებლობით უფლებამოსილ სხვა სახელმწიფო ორგანოებთან კოორდინაციით.

კანონპროექტის მე-14 მუხლი დათმობილი აქვს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მდგომარეობის გამო მოძრაობის დროებით შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საავტომობილო გზების დეპარტამენტს, გარდა დადგენილი წესით მოძრაობის შეწყვეტის ან შეზღუდვის შემთხვევებისა. საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია აუნაზღაუროს საავტომობილო გზებით მოსარგებლეებს ცუდი საგზაო პირობების შედეგად მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით გამოწვეული ზარალი თუ ამ შემთხვევის მიზეზი ის იყო, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეასრულა დაკისრებული მოვალეობანი. მიყენებული ზარალის ანაზღაურება ხდება სასამართლო წესით.

კანონპროექტის მე-15 მუხლში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის გზებით მოსარგებლეების პასუხისმგებლობა.

კანონპროექტის მე-16 მუხლი ეთმობა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონებში შეუთანხმებელი მოქმედების აკრძალვასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროექტის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონებში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან შეუთანხმებლად აკრძალულია:

ა) ნებისმიერი სამშენებლო, სამელიორაციო, სასოფლო-სამეურნეო, გეოლოგიური ძიების სამუშაოები, კავშირგაბმულობის ხაზებისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, ახლის აშენება და

არსებული ნაგებობების შეკეთება (მილსადენების, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების ავარიის შემთხვევაში აღდგენა-შეკეთების სამუშაოების გარდა, რასაც დაუყოვნებლივ ატყობინებენ საავტომობილო გზების დეპარტამენტს);

ბ) ტექნოლოგიური ტვირთების ორგანიზაცია;

გ) გარე განათებისა და გამწვანების მოწყობა;

დ) მოძრავი გასამართი პუნქტების, ჯიხურების, პავილიონების და სხვა ნაგებობების განლაგება;

ე) სატრანსპორტო საშუალებათა დატვირთვა-გადმოტვირთვის, გასაჩერებელი და სამრეცხაო მოედნის მოწყობა;

ვ) კაშხლების, გუბურების და სხვა მელიორაციულ და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მოწყობა, მდინარეების კალაპოტების გაღრმავება და ქვიშისა და ღორღის მოპოვება ერთი კილომეტრის მანძილზე ხიდების ზემოთ და ქვემოთ;

ზ) მდინარეზე ხიდების ქვეშ ხე-ტყის დაცურება;

თ) ხიდების ბურჯებთან ნავების ან სხვა სანაოსნო საშუალებათა მიდგომა, გზაგამტარების, ესტაკადებისა და ხიდების ქვეშ სადგომის, გასასვლელების, აგრეთვე ნავების სადგურებისა და სხვა რაიმე ნაგებობათა მოწყობა.

ყველა იმ სამუშაოთა წარმოება, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზის ამა თუ იმ მონაკვეთზე ცვლის საგზაო მოძრაობის არსებულ ორგანიზაციას ან ავტომანქანების სიჩქარეების დადგენილ რეჟიმს, გარდა საგზაო ორგანიზაციებისა, უნდა შეუთანხმდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და კანონმდებლობით უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს (ორგანოებს). აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევით ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების მიერ აშენებული შენობა-ნაგებობანი უნდა დაინგრეს თვითნებურად ამშენებელთა ხარჯზე.

კანონპროექტის მე-17 და მე-18 მუხლები ეთმობა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ტექნიკური და სამედიცინო დახმარების გაწევის საკითხებს.

კანონპროექტის მე-19 მუხლის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაპროექტება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია, შეკეთება, მოვლა-შენახვა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება, საექსპლუატაციოდ მიღება წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, მიღებული სტანდარტების, სამშენებლო ნორმების, ტექნიკური რეგლამენტებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

კანონპროექტის მე-20 მუხლი ეთმობა შავი წერტილების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, შავი წერტილი არის ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზის არაუმეტეს 300-მეტრიანი მონაკვეთი, რომლის ფარგლებში 3 კალენდარული წლის განმავლობაში დაფიქსირებულია ერთ-ერთი შემდეგი შემთხვევა:

ა) ადამიანის დაღუპვით დასრულებული არანაკლებ 4 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;

ბ) ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით ან/და ადამიანის დაღუპვით დასრულებული ჯამში არანაკლებ 10 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა. შავი წერტილების

იდენტიფიცირებას ახდენს და მათ შესახებ ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტს აწვდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიხედვით შავი წერტილების აღმოფხვრისა და ამ გზებზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განსახორციელებლად შეიმუშავებს შესაბამის წესს, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი, „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის 26[1] მუხლით გათვალისწინებულ ორგანოებთან ერთად კოორდინირებულად უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით წინადადებების/ანგარიშების მომზადებას.

კანონპროექტის 21-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებამდე, „ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2005 წლის 11 აგვისტოს კანონის (გაზეთი „აჭარა", №154, 17.08.2015) საფუძველზე მიღებული/გამოცემული და მოქმედი სამართლებრივი აქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას კანონმდებლობით დადგენილი წესით მათ ძალადაკარგულად გამოცხადებამდე.

კანონპროექტის 22-ე მუხლის შესაბამისად, კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ უნდა უზრუნველყოს:

ა) საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების სტრატეგიის დამტკიცება;

ბ) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა;

გ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცება.

კანონპროექტის 23-ე მუხლის თანახმად, კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ცხადდება „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2005 წლის 11 აგვისტოს კანონი (გაზეთი "აჭარა" №154, 17.08.2005).

კანონპროექტის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კანონი, გარდა კანონის მე-20 მუხლისა, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, კანონის მე-20 მუხლი ამოქმედდება, „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 01.07.2020, სარეგისტრაციო კოდი: 310090000.05.001.019912) საქართველოს 2020 წლის 23 ივნისის №6364-IIს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების ამოქმედების შემდეგ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი უშუალო გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არა აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს

გ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ე) კანონპროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი.

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს წარედგინოს საქართველოს კანონის პროექტი „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. წარდგენილ კანონპროექტზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
2023 წლის
№

<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, NN21-22, მუხ.463) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების საზღვრებში არსებული გზებისა) წარმოადგენენ ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებს, რომელთა მართვა განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის გზების ნუსხას ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას ამტკიცებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ან მუნიციპალიტეტის ორგანოები. როგორც წესი, იგი 3 წელიწადში ერთხელ გადაისინჯება.“.

2. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე მოძრაობის დროებითი შეწყვეტის ან შეზღუდვის გადაწყვეტილებას, ვადის მითითებით, იღებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის გზებზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე - შესაბამისი მუნიციპალიტეტები, ხოლო საუწყებო საავტომობილო გზებზე - ამ გზების მფლობელები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი — სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
2023 წლის
№

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრას მიზნად ისახავს კანონპროექტი;

საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 13 ოქტომბერს მიღებული იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, რომელმაც ახლებურად მოაწესრიგა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსი. ამასთან აღნიშნული კანონით ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2004 წლის 1 ივლისის კონსტიტუციური კანონი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის საფუძველზე ცვლილება განიცადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციამაც. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის 21 მარტის კონსტიტუციური კანონით მიღებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქცია. აღნიშნული კონსტიტუციური კანონი დამტკიცდა საქართველოს 2018 წლის 4 მაისის ორგანული კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების თაობაზე“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციით ახლებურად მოწესრიგდა სხვადასხვა საკითხები, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები. ახალი საკანონმდებლო რეალობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიკუთვნებული ერთ-ერთი ახალი სფეროა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზები და მათი მართვა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

იმის გათვალისწინებით, რომ ახალი საკანონმდებლო მოცემულობიდან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა, აუცილებელია შესაბამისი ცვლილების განხორციელება „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში, რადგანაც აღნიშნული საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებულია ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა, რაც კანონმდებლობის შესაბამისად აღარ განეკუთვნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას. .

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები;

კანონპროექტის მიღების შედეგად, „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონი შესაბამისობაში მოვა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტით ცვლილება შედის „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის:

1. **მე-3 მუხლის მე-9 პუნქტში,** რომლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების საზღვრებში არსებული გზებისა) წარმოადგენენ ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებს, რომელთა მართვა განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის გზების ნუსხას ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას ამტკიცებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ან მუნიციპალიტეტის ორგანოები. როგორც წესი, იგი 3 წელიწადში ერთხელ გადაისინჯება.

2. **მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში,** რომლის თანახმადაც საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე მოძრაობის დროებითი შეწყვეტის ან შეზღუდვის გადაწყვეტილებას, ვადის მითითებით, იღებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის გზებზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე - შესაბამისი მუნიციპალიტეტები, ხოლო საუწყებო საავტომობილო გზებზე - ამ გზების მფლობელები.".

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

ვინაიდან კანონის ძალაში შესვლა არ არის დაკავშირებული რაიმე გარემოებასთან ან თარიღთან, ასევე მის ასამოქმედებლად არ არის საჭირო სხვა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე. კანონპროექტი არ ითვალისწინებს მისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

კანონპროექტის მიღების შემდეგ აუცილებელი ხარჯების დაფინანსება, ისევე როგორც კანონპროექტის მიღებამდე, მოხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ასიგნებებიდან.

ზ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ზ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს. კანონპროექტის მიღების შემდეგ აუცილებელი ხარჯების დაფინანსება, ისევე როგორც კანონპროექტის მიღებამდე, მოხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ასიგნებებიდან.

ზ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით;

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღებ პირდაპირ ფინანსურ ვალდებულებებს.

ზ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

ასეთი არ არსებობს.

ზ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) დადგენას.

ზ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტი გავლენას არ მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ზ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტის მიღებით გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელი არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 3. საავტომობილო გზების სახეობანი და კლასიფიკაცია

1. საავტომობილო გზები თავისი დანიშნულებით იყოფა საერთო სარგებლობისა და საუწყებო გზებად.

2. საერთო სარგებლობის საავტომობილო გზები თავისი მნიშვნელობის მიხედვით იყოფა საერთშორისო შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებად.

3. საერთშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზებს მიეკუთვნება საქართველოს და სხვა სახელმწიფოების ადმინისტრაციული, მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრების დამაკავშირებელი გზები.

4. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს მიეკუთვნება:

ა) საქართველოს დედაქალაქის მნიშვნელოვან სამრეწველო და კულტურულ ცენტრებთან, ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციულ ცენტრებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებთან დამაკავშირებელი გზები, აგრეთვე მათი შემოსავლელები და მათთან მისასვლელები საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებიდან;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციული ცენტრების, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების, საქართველოს მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრების დამაკავშირებელი გზები;

გ) საქართველოს დედაქალაქთან, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებთან აეროპორტებისა და ნავსადგომების დამაკავშირებელი გზები.

5. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებს შეიძლება მიეკუთვნოს გზები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ამ პუნქტით განსაზღვრულ შიდასახელმწიფოებრივი გზების მაჩვენებლებს, მაგრამ აქვს თავდაცვითი და სპეციალური მნიშვნელობა.

6. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. როგორც წესი, იგი გადაისინჯება 5 წელიწადში ერთხელ.

7. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს მიეკუთვნება:

ა) მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების ამავე მუნიციპალიტეტის დასახლებებთან დამაკავშირებელი გზები;

ბ) დასახლებების საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დამაკავშირებელი გზები;

გ) მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზები, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გზები, რომლებიც საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და საუწყებო საავტომობილო გზებს არ მიეკუთვნება;

დ) განსაკუთრებული მნიშვნელობის კურორტების, დასვენებისა და ტურიზმის ადგილების, სპორტული კომპლექსების, ისტორიული და კულტურული ძეგლების, სამეცნიერო ცენტრებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სხვა ობიექტების

მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებთან (რომელთა ტერიტორიაზედაც მდებარეობს აღნიშნული ობიექტები) დამაკავშირებელი გზები, აგრეთვე უახლოეს რკინიგზის სადგურებთან, აეროპორტებთან, საზღვაო ნავსადგომებთან მისასვლელები საერთაშორისო შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებიდან.

8. ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს შეიძლება მიეკუთვნოს გზები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ამ პუნქტით განსაზღვრულ ადგილობრივი გზების მაჩვენებლებს, მაგრამ აქვს თავდაცვითი და სპეციალური მნიშვნელობა.

9. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას ამტკიცებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ან მუნიციპალიტეტის ორგანოები. როგორც წესი, იგი 3 წელიწადში ერთხელ გადაისინჯება.

10. საუწყებო საავტომობილო გზებს მიეკუთვნება:

ა) საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებიდან ორგანიზაციებთან მისასვლელი გზები;

ბ) სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა დანიშნულების საწარმოების ტერიტორიებზე არსებული გზები;

გ) არხების, მილგაყვანილობის, ელექტროგადამცემი ხაზებისა და სხვა კომუნიკაციებისა და ნაგებობების გასწვრივ გამავალი, აგრეთვე ჰიდროტექნიკურ და სხვა ნაგებობებთან მისასვლელი სამსახურებრივი და საპატრულო საავტომობილო გზები.

მუხლი 17. მოძრაობის დროებით შეწყვეტა ან შეზღუდვა

1. საავტომობილო გზებზე მოძრაობა დროებით შეიძლება შეწყდეს ან შეიზღუდოს მხოლოდ ავარიის ან სტიქიური მოვლენების შემთხვევაში, საგზაო-კლიმატური პირობების გამო ან სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას.

2. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე მოძრაობის დროებით შეწყვეტის ან შეზღუდვის გადაწყვეტილებას, ვადის მითითებით, იღებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებით, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე – შესაბამისი მუნიციპალიტეტები, ხოლო საუწყებო საავტომობილო გზებზე – ამ გზების მფლობელები.

3. საავტომობილო გზებზე მოძრაობის დროებით შეწყვეტის ან შეზღუდვის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ვალდებულია დროულად გამოაცხადოს ეს პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, რომელშიც უნდა მიეთითოს ასაქცევი გზები, აგრეთვე გზის ასეთი მონაკვეთების დასაწყისში უნდა დაიდგას შესაბამისი საგზაო ნიშნები და მიღებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზომები. თუ შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები არ შეასრულებენ ამ მოთხოვნებს, საავტომობილო გზებით მოსარგებლეებს უფლება აქვთ მოითხოვონ მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

4. თუ შესაბამისი ინფორმაცია გამოქვეყნებულია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, აგრეთვე მიღებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზომები, საავტომობილო გზებით მოსარგებლეებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ მოძრაობის დროებით შეწყვეტით ან შეზღუდვით გამოწვეული ზარალის კომპენსაცია.

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2023 წლის 26 ოქტომბრის №38 სხდომის ოქმიდან

მოისმინეს: კომიტეტის თავმჯდომარის ვლადიმერ მგალობლიშვილის ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე - „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე - „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ.

გადაწყვიტეს: 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ

2. კომიტეტის მიერ წარდგენილ საკანონმდებლო ინიციატივაზე უმაღლესი საბჭოს კომიტეტების და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი.

მოისმინეს: კომიტეტის თავმჯდომარის ვლადიმერ მგალობლიშვილის ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გადაწყვიტეს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. კომიტეტის მიერ წარდგენილ საკანონმდებლო ინიციატივაზე უმაღლესი საბჭოს კომიტეტების და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი.

კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი